



INNOX

We Do Finance

შპს „რეპსოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	6
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ...	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	9
1 ზოგადი ინფორმაცია	10
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო	10
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	21
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების დანერგვა და ახალი სააღრიცხვო დებულებები	22
6 ძირითადი საშუალებები.....	23
7 აქტივების გამოყენების უფლება	24
8 ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში & გუდვილი	24
9 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	25
10 მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები	25
11 გაცემული სესხები	25
12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
13 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	26
14 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	26
15 მიღებული ავანსები.....	26
16 მიღებული სესხები	27
17 საიჯარო ვალდებულება	30
18 კაპიტალი.....	30
19 შემოსავალი რეალიზაციიდან	30
20 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	31
21 ფინანსური შემოსავალი & ფინანსური ხარჯი	31
22 მოგების გადასახადი	31
23 ფინანსური რისკების მართვა	32
24 სამართლიანი ღირებულების შეფასება	34
25 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	35
26 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რეპსოლისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მფლობელებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

1 ოქტომბერი, 2025

შპს „ინოქსი“-ს სახელით (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674; სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-481994)

ირაკლი ჭილაძე (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-509177)

გარიგების პარტნიორი და დირექტორი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რეპსოლისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მფლობელებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

1 ოქტომბერი, 2025

შპს „ინოქსი“-ს სახელით (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674; სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-481994)



ირაკლი ჭილაძე (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-509177)

გარიგების პარტნიორი და დირექტორი

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	19	512,902,266	283,843,093
ნავთობპროდუქტების თვითღირებულება		(476,436,178)	(255,122,063)
საერთო მოგება		36,466,088	28,721,030
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(24,345,611)	(15,245,770)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	12	(69,623)	(262,248)
საგადასახადო ხარჯი		(332,398)	(71,091)
საოპერაციო მოგება		11,718,456	13,141,921
არასაოპერაციო შემოსავლები, წმინდა		214,889	160,302
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული			
მოგება/(ზარალი), წმინდა	6	18,128	(91,500)
ფინანსური შემოსავალი	21	43,247	340,358
ფინანსური ხარჯი	21	(7,225,636)	(3,351,424)
მოგება დაბეგვრამდე		4,769,084	10,199,657
მოგების გადასახადი	22	-	-
წმინდა მოგება		4,769,084	10,199,657

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 5-35 გვერდის ჩათვლით დირექტორის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 1 ოქტომბერს.

შპს „რეკსოლი“ ს/კ: 405074128

უჩა ლურსმანაშვილი

დირექტორი

შპს „რეპსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	19	512,902,266	283,843,093
ნავთობპროდუქტების თვითღირებულება		(476,436,178)	(255,122,063)
საერთო მოგება		36,466,088	28,721,030
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(24,345,611)	(15,245,770)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	12	(69,623)	(262,248)
საგადასახადო ხარჯი		(332,398)	(71,091)
საოპერაციო მოგება		11,718,456	13,141,921
არასაოპერაციო შემოსავლები, წმინდა		214,889	160,302
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული			
მოგება/(ზარალი), წმინდა	6	18,128	(91,500)
ფინანსური შემოსავალი	21	43,247	340,358
ფინანსური ხარჯი	21	(7,225,636)	(3,351,424)
მოგება დაბეგვრამდე		4,769,084	10,199,657
მოგების გადასახადი	22	-	-
წმინდა მოგება		4,769,084	10,199,657

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 5-35 გვერდის ჩათვლით დირექტორის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 1 ოქტომბერს.

შპს „რეპსოლი“ ს/კ: 405074128

უჩა ლურსმანაშვილი

დირექტორი



შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	22,640,717	13,267,081
აქტივის გამოყენების უფლება	7	21,010,530	16,714,866
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	8	1,783,585	1,783,585
გუდვილი	8	1,638,078	373,826
არამატერიალური აქტივები		118,753	93,342
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,191,663	32,232,700
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	9,493,254	6,718,841
მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები	10	11,728,280	11,403,597
გაცემული სესხები	11	7,000,000	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	17,056,568	12,731,738
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	16,883,717	6,830,205
სულ მიმდინარე აქტივები		62,161,819	37,684,381
სულ აქტივები		109,353,482	69,917,081
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	13,718,743	4,776,122
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	17	18,989,984	14,752,075
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		32,708,727	19,528,197
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	2,914,095	354,260
მიღებული ავანსები	15	1,574,260	-
წმინდა საგადასახადო ვალდებულება		571,652	1,515,145
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	17	4,512,791	3,135,715
მოკლევადიანი სესხები	16	33,355,086	18,358,808
სულ მიმდინარე ვალდებულებები		42,927,884	23,363,928
სულ ვალდებულებები		75,636,611	42,892,125
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,546,932	1,624,101
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		30,169,939	25,400,855
სულ კაპიტალი	18	33,716,871	27,024,956
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		109,353,482	69,917,081

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	18	3,167,671	15,201,198	18,368,869
წმინდა მოგება		-	10,199,657	10,199,657
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	10,199,657	10,199,657
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		(1,543,570)	-	(1,543,570)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18	1,624,101	25,400,855	27,024,956
წმინდა მოგება		-	4,769,084	4,769,084
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	4,769,084	4,769,084
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		1,922,831	-	1,922,831
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18	3,546,932	30,169,939	33,716,871

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე:		4,769,084	10,199,657
კორექტირებები:		13,629,832	6,866,087
ცვეთა და ამორტიზაცია		6,395,948	3,501,273
ძირითადი საშუალებების გასვლა/გაყიდვიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	6	(18,128)	91,500
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი/(მოგება), წმინდა	21	272,860	(332,642)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	12	69,623	262,248
საპროცენტო ხარჯი	21	3,799,241	1,560,213
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	21	3,153,535	1,791,211
საპროცენტო შემოსავალი	21	(43,247)	(7,716)
ცვლილება აქტივებსა და ვალდებულებებში		(4,302,947)	(16,052,067)
ცვლილება გადასახადებში		(943,492)	705,043
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(2,774,413)	(2,227,958)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(324,683)	(4,309,139)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(4,397,821)	(9,281,324)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,563,202	(439,032)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		1,574,260	(499,657)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		14,095,969	1,013,677
გადახდილი პროცენტი		(3,799,241)	(1,560,213)
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე		(3,153,535)	(1,791,211)
მიღებული პროცენტი		43,247	7,716
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		7,186,440	(2,330,031)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(10,960,854)	(9,050,356)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6	49,503	338,040
ინვესტიციის განხორციელება მეკავშირე საწარმოში	8	-	-
გუდვილი	8	(1,264,252)	(373,826)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(34,625)	(90,021)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(12,210,228)	(9,176,163)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	18	1,922,831	(1,543,570)
მიღებული სესხები	16	23,666,039	20,620,879
გაცემული სესხები	11	(7,000,000)	-
საიჯარო ვალდებულების გადახდა	17	(3,511,570)	(1,937,103)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		15,077,300	17,140,206
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		6,830,205	1,196,193
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		-	-
წმინდა ზრდა/(კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		10,053,512	5,634,012
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის		16,883,717	6,830,205

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „რეკსოლი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2014 წლის 4 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით [ს/ნ:405074128] საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა N8, საოფისე ფართი N4, სართული 2, ბლოკი "ა".

კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორია უჩა ლურსმანაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა ბენზინგასამართი სადგურებისა და ნავთობბაზის მეშვეობით.

2024 წლის 17 აპრილს შპს „რეკსოლმა“ შეიძინა შპს „არგუმენტის“ (ს.კ: 248383191) 100% წილი, რომელშიც გადაიხადა 1,602,600 ლარი. კონსოლიდირებული ანგარიშგებისათვის ოპერაციიდან წარმოშობილი გუდვილი შეადგენს 1,264,252 ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 754 (2023: 501)

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილი საქართველოა. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს, უცხოური ვალუტის კურსების ცვალებადობას ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში და ა.შ. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის თებერვალში დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. თანმდევი გარე ფაქტორების ნაწილობრივი ჩამონათვალი მოიცავს: სამხედრო მოქმედებებს, ლტოლვილთა კრიზისს, მიწოდების ჯაჭვის მოშლას, ინფლაციის ზრდას, გლობალურად ნავთობის ბაზრის არამდგრადობას, სურსათსა და საქონელზე ფასების ზრდას და გლობალურ ეკონომიკაზე სხვა უარყოფით გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის მენეჯმენტს არ აქვს შესაძლებლობა იწინასწარმეტყველოს ყველა ის მოვლენა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე, მენეჯმენტი გონივრულად იღებს ყველა აუციელებელ შესაძლო ღონისძიებას ჯგუფის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიის და კომპანიის მიერ კონტროლირებული საწარმოების (შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მოპოვებულია მაშინ, როდესაც კომპანიას:

- ძალაუფლება აქვს ინვესტიციის მიმღებზე;
- ექვემდებარება, ან მისი ინვესტიციის მიმღებთან ჩართულობის შედეგად გააჩნია ცვლად შემოსავლებზე უფლებები; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი ძალაუფლება და გავლენა მოახდინოს მის შემოსავლებზე.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტიციის მიმღებს, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის სამი ელემენტიდან ერთი ან მეტის ცვლილებას ჰქონდა ადგილი. როდესაც კომპანიას აქვს ინვესტიციის მიმღებზე ხმის მიცემის უფლების უმრავლესობაზე ნაკლები, მას აქვს ძალაუფლება ინვესტიციის მიმღებზე, მაშინ, როდესაც ხმის მიცემის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მას მიეცეს ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის ცალმხრივად წარმართვის პრაქტიკული შესაძლებლობა. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას იმის შესაფასებლად, საკმარისია თუ არა კომპანიის ხმის უფლება ინვესტიციის მიმღების საწარმოში, რათა მას მიენიჭოს უფლებამოსილება, რაც მოიცავს:

- კომპანიის ხმის მიცემის უფლების მოცულობას, რომელიც შესაბამისია სხვა, ხმის მიცემის უფლების მქონე პირების მფლობელობის დანაწილებისა და მოცულობისა;
- კომპანიის, სხვა ხმის მიცემის უფლების მქონეების და სხვა მხარეების მიერ პოტენციურად ფლობილ ხმის მიცემის უფლებებს;

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებისგან წარმოქმნილ უფლებებს; და
- ნებისმიერ დამატებითი ფაქტსა და გარემოებას, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას აქვს არ აქვს ამჟამინდელი შესაძლებლობა, მართოს შესაბამისი საქმიანობა იმ დროს, როდესაც გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული, აქციონერთა წინა კრებებზე ხმის მიცემის წესების ჩათვლით.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს შვილობილ საწარმოზე კონტროლს და წყვეტს მას, როდესაც კომპანია კარგავს შვილობილ საწარმოზე კონტროლს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასული შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები შედის მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, კომპანიის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან, მანამდე, სანამ კომპანია შეწყვეტს შვილობილი საწარმოს კონტროლს.

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არა-მაკონტროლებელ წილს. შვილობილი საწარმოების მთლიანი სრული შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არამაკონტროლებელ წილებს, თუნდაც ამან გამოიწვიოს არა-მაკონტროლებელი წილების დეფიციტური ნაშთი.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები კონსოლიდაციის შედეგად სრულად ელიმინირდება.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	წელი
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	10
საოფისე და სხვა ტექნიკა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები	5
კეთილმოწყობა	5

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და არ გააჩნია კონტროლი. მნიშვნელოვანი გავლენის, როგორც წესი, თან ახლავს მეკავშირე საწარმოს წილის 20-50%-ის ფლობა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღები საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოში დაბანდებულ ინვესტიციებს ჯგუფი აღიარებს და აღრიცხვას თვითღირებულებით, ამგვარად აღრიცხული ინვესტიციების ღირებულების ხელახლა შეფასება შემდგომ პერიოდში არ ხდება. ასეთი ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია თავდაპირველი ღირებულებით, სანამ არ მოხდება ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება.

გუდვილი

გუდვილი, რომელიც წარმოქმნება ბიზნესის შეძენისას, აღრიცხება თვითღირებულებით, როგორც ეს დადგინდა ბიზნესის შეძენის დღეს, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველაწარმოებულ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის ჯგუფი საშუალო შეწონილ მეთოდს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ჯგუფი მარაგს აფასებს მათი გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

მარაგები ხარჯად აღიარდება როდესაც გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევის საფუძველზე მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღიარდება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღიარდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივები - გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსურ ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს მოვლენა, რომელიც წარმოიქმნის გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. წინასწარ გადახდილი გადასახადები, აღიარდება აქტივად. ჯგუფი დივიდენდების განაწილებისთვის მოგების გადასახადის ვალდებულებას აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს, მიუხედავად იმისა თუ რომელი პერიოდის დივიდენდს აცხადებს, ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდის საბოლოო განაწილება. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებული სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადასახდელი ფულის მიმდინარე ღირებულებას ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და საპროცენტო ხარჯი აღიარდება ფინანსურ ხარჯებში.

მიღებული სესხები აღიარდება მოკლევადიან ვალდებულებად, თუ მის დასაფარად ანგარიშგების თარიღიდან დარჩენილია არაუმეტეს 12 თვე.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის ჯგუფის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს მოგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

საიჯარო ვალდებულება

იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება წმინდა დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), წმინდა დღევანდელ ღირებულებას, იჯარის წამახალისებელი მოთხოვნების გამოკლებით.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც ჯგუფის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ეს სესხები თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

3 მნიშვნელოვანი საარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაგრძელების შესაძლებლობები შეყვანილია ჯგუფის იჯარებში, თუ ეს გამოყენებადია. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით. გაგრძელების შესაძლებლობების სარგებლობის უფლება მხოლოდ ჯგუფს აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლების ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი იჯარით იღებს ავტოგასამართ სადგურებს (აგს). იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება შეფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულებების თავდაპირველი შეფასების ოდენობას;
- საიჯარო გადასახადს, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლების გამოკლებით;
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯს; და
- საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით აქტივის აღდგენის ხარჯებს.

აქტივების გამოყენების უფლება საერთოდ ცვეთას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით, წრფივი მეთოდის საფუძველზე. ყველა იმ იჯარისთვის, სადაც ჯგუფი მეიჯარეა, იჯარის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, შესაბამისად ცვეთა ერიცხება იჯარის ვადაზე, რომელიც შეადგენს 3-10 წელს.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლებს გამოაკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი ანარიცხების ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ჯგუფი ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

ჯგუფი საწვავისა და სხვა საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება. როდესაც მომხმარებლისგან მიღებული გადახდები აღემატება გადაცემულ პროდუქციას ან ხელშეკრულებით გაწეულ მომსახურებას, აღიარდება სახელშეკრულებო ვალდებულება. ასეთი სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია როგორც წინასწარი გადახდები მიღებული ავანსებისა და სხვა ვალდებულებების შესაბამისად. საკონტრაქტო ვალდებულებები არ აღირიცხება, როგორც ამონაგები, სანამ შესაბამისი საქონლის მიწოდება ან მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდება არ განხორციელდება.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ჯგუფი ხარჯს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებაზე აქტივის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მიღების პერიოდთან დაკავშირებით. აღნიშნული შეფასება პერიოდულად გადაიხედება. შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი პერიოდების ცვეთის ხარჯზე. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-6 განმარტებით შენიშვნაში.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების დანერგვა და ახალი სააღრიცხვო დებულებები

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფი იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასსს) მიერ გამოცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში. ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასსს) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

6 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,026,402	2,252,581	794,262	227,222	909,939	1,553,931	88,730	6,853,068
შეძენა	3,231,005	1,766,074	904,590	425,920	1,087,587	1,586,017	49,165	9,050,357
გასვლა	-	-	-	-	-	(429,540)	-	(429,540)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	4,257,407	4,018,655	1,698,852	653,142	1,997,526	2,710,408	137,895	15,473,885
შეძენა	1,538,087	6,147,803	1,190,136	635,015	932,469	265,689	251,656	10,960,855
გასვლა	-	-	(29,287)	(339)	-	(16,465)	-	(46,091)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	5,795,494	10,166,458	2,859,701	1,287,818	2,929,995	2,959,632	389,551	26,388,649
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(145,519)	(284,437)	(101,874)	(240,875)	(502,229)	(38,482)	(1,313,415)
წლიური ცვეთა	-	(101,550)	(212,332)	(91,259)	(278,942)	(190,231)	(19,074)	(893,389)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(247,069)	(496,769)	(193,133)	(519,817)	(692,460)	(57,556)	(2,206,804)
წლიური ცვეთა	-	(252,812)	(334,407)	(207,362)	(478,551)	(250,109)	(32,603)	(1,555,844)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	7,150	112	-	7,454	-	14,716
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(499,881)	(824,026)	(400,383)	(998,368)	(935,115)	(90,159)	(3,747,932)
საბალანსო ღირებულება								
2022 წლის 31 დეკემბერი	1,026,402	2,107,063	509,825	125,348	669,064	1,051,702	50,248	5,539,653
2023 წლის 31 დეკემბერი	4,257,407	3,771,586	1,202,083	460,009	1,477,709	2,017,948	80,339	13,267,081
2024 წლის 31 დეკემბერი	5,795,494	9,666,577	2,035,675	887,435	1,931,627	2,024,517	299,392	22,640,717

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

6 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 22.6 მლნ ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების არის გამოყენებული სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად (2023: 13 მლნ ლარი, სს „თიბისი ბანკი“)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს 523,105 ლარის ღირებულების სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს (2023: 309,286 ლარი)

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა გაყიდა 31,375 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები 49,503 ლარად.

7 აქტივების გამოყენების უფლება

	აგს	სულ
თვითღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	9,784,701	9,784,701
დამატება	10,902,972	10,902,972
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	20,687,673	20,687,673
დამატება	9,126,556	9,126,556
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	29,814,229	29,814,229
დაგროვილი ცვეთა		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(1,364,922)	(1,364,922)
წლიური ცვეთა	(2,607,885)	(2,607,885)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(3,972,807)	(3,972,807)
წლიური ცვეთა	(4,830,892)	(4,830,892)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(8,803,699)	(8,803,699)
საბალანსო ღირებულება		
2022 წლის 31 დეკემბერი	8,419,779	8,419,779
2023 წლის 31 დეკემბერი	16,714,866	16,714,866
2024 წლის 31 დეკემბერი	21,010,530	21,010,530

8 ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში & გუდვილი

2024 წლის განმავლობაში შპს „რეკსოლს“ შპს „გიგოში“ (ს.კ: 204863175), რომელშიც 35%-იან წილს ფლობს, ინვესტიცია არ განუხორციელებია.

2024 წლის განმავლობაში შპს „რეკსოლმა“ შპს „გოლდენ-ოილში“ (ს.კ: 246957155), რომელშიც 100%-იან წილს ფლობს, ჩადებული ინვესტიციიდან 53,000 უკან დაიბრუნა.

2024 წლის 17 აპრილს შპს „რეკსოლმა“ შეიძინა შპს არგუმენტის (ს.კ: 248383191) 100% წილი, რომელშიც გადაიხადა 1,602,600 ლარი. კონსოლიდირებული ანგარიშგებისათვის ოპერაციიდან წარმოშობილი გუდვილი შეადგენს 1,264,252 ლარს. 2024 წლის განმავლობაში დამატებითი 23,000 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

9 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დიზელი ნავთობბაზებში	834,899	686,869
ბენზინი ნავთობბაზებში	3,722,296	1,878,385
დიზელი ბენზინგასამართ სადგურებზე	2,065,065	2,070,024
ბენზინი ბენზინგასამართ სადგურებზე	2,803,302	2,083,563
სხვა მარაგი	67,692	-
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9,493,254	6,718,841

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 277,598 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური მარაგები არის დაყადაღებული სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ.

10 მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები

მომწოდებლებთან წინასწარ გადახდილი თანხები უკავშირდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენას, რომელიც მომდევნო წელს სწორდება.

11 გაცემული სესხები

2024 წლის განმავლობაში შპს „რეკსოლი“ არადაკავშირებულ ადგილობრივ იურიდიულ პირზე გასცა სესხი 7,000,000 ლარის ოდენობით. სესხი არის მოკლევადიანი და უზრუნველყოფილია სესხის მიმღებისა და მესამე მხარის უძრავი ქონებებით.

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	17,074,068	12,781,991
სხვა მოთხოვნები	486,059	383,273
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(503,559)	(433,526)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,056,568	12,731,738

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება, გამოხატულია ლარში და ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, როგორც წესი, იფარება 30 დღემდე ვადაში. მომხმარებლებს მიეცემა 30-დღიანი საშელავათო პერიოდი და მათი დებიტორული დავალიანებები ვადაგადაცილებულად ჩაითვლება მინიმუმ 31 დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში.

2024 და 2023 წლებში მოძრაობები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში და ანარიცხების რეზერვებში შესაძლოა შემდეგი სახით შეფასდეს:

2022 წლის 31 დეკემბერი	196,373
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	262,248
2023 წლის 31 დეკემბერი	458,621
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	69,623
2024 წლის 31 დეკემბერი	503,559

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

13 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული სალაროში	433,954	789,007
ნაღდი ფული ბანკებში	16,449,763	6,041,198
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	16,883,717	6,830,205

ფულადი სახსრები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში.

საბანკო ანგარიშებზე ერიცხება უმნიშვნელო საპროცენტო სარგებელი 2024 და 2023 წლის განმავლობაში.

14 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	1,102,296	28,804
სხვა კრედიტორული დავალიანება	1,811,799	325,456
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,914,095	354,260

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, იფარება მაქსიმუმ 5-7 დღის ვადაში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ძირითადად ლარშია გამოხატული.

15 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები უკავშირდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბითუმო მიწოდებას, რომელიც მომდევნო წელს სწორდება.

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

16 მიღებული სესხები

დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

მოკლევადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
თიბისი ბანკი - 20 მილიონი ლარი	07-08-23	07-03-25	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	20,000,000
თიბისი ბანკი - 3 მილიონი ლარი	20-09-23	07-03-25	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	3,000,000
თიბისი ბანკი - 7 მილიონი ლარი	05-02-24	05-02-25	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	7,000,000
თიბისი ბანკი - 5 მილიონი ლარი	24-07-23	20-07-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	941,760
თიბისი ბანკი - 1.2 მილიონი ლარი	25-08-23	22-08-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	223,976
თიბისი ბანკი - 1.5 მილიონი ლარი	05-02-24	02-02-29	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	266,974
თიბისი ბანკი - 0.7 მილიონი ლარი	24-02-24	26-02-29	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	123,875
თიბისი ბანკი - 1.6 მილიონი ლარი	05-03-24	01-03-29	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	282,512
თიბისი ბანკი - 7 მილიონი ლარი	12-11-24	11-11-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	1,515,989
სულ მოკლევადიანი ნაწილი						33,355,086

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

გრძელვადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
თიბისი ბანკი - 5 მილიონი ლარი	24-07-23	20-07-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	2,898,998
თიბისი ბანკი - 1.2 მილიონი ლარი	25-08-23	22-08-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	714,673
თიბისი ბანკი - 1.5 მილიონი ლარი	05-02-24	02-02-29	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	1,037,596
თიბისი ბანკი - 0.7 მილიონი ლარი	24-02-24	26-02-29	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	481,348
თიბისი ბანკი - 1.6 მილიონი ლარი	05-03-24	01-03-29	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	1,131,665
თიბისი ბანკი - 7 მილიონი ლარი	12-11-24	11-11-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	5,388,999
ფ.პ უჩა ლურსმანაშვილი	02-12-24	31-12-26	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	EUR	1,055,016
ფ.პ უჩა ლურსმანაშვილი	02-12-24	31-12-26	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	USD	1,010,448
სულ გრძელვადიანი ნაწილი						13,718,743

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

მოკლევადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
თიბისი ბანკი - 20 მილიონი ლარი	07-08-23	07-11-24	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	14,313,505
თიბისი ბანკი - 3 მილიონი ლარი	20-09-23	07-11-24	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	3,000,000
თიბისი ბანკი - 5 მილიონი ლარი	24-07-23	20-07-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	844,309
თიბისი ბანკი - 1.2 მილიონი ლარი	25-08-23	22-08-23	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	200,994
სულ მოკლევადიანი ნაწილი						18,358,808

გრძელვადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
თიბისი ბანკი - 5 მილიონი ლარი	24-07-23	20-07-28	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	3,837,721
თიბისი ბანკი - 1.2 მილიონი ლარი	25-08-23	22-08-23	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	938,401
სულ გრძელვადიანი ნაწილი						4,776,122

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

16 მიღებული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონებების შესახებ იხილეთ მე-6 განმარტებით შენიშვნაში. ჯგუფის საპროცენტო ხარჯი 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 3,799,241 ლარს (2023: 1,560,213 ლარს).

17 საიჯარო ვალდებულება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	18,989,984	14,752,075
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	4,512,791	3,135,715

	2024	2023
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	17,887,790	8,921,921
დამატებები	9,126,556	10,902,972
ფინანსური ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	3,153,535	1,791,211
ძირის & პროცენტის გადახდა	(6,665,106)	(3,728,314)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,502,775	17,887,790

18 კაპიტალი

ჯგუფის მფლობელმა გაზარდა ჯგუფის კაპიტალი ფულადი სახსრებით, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,546,932 ლარს შეადგენს (2023 წლის 31 დეკემბერს: 1,624,101 ლარი).

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა გაანაწილა 0 ლარის დივიდენდები (2023: 0 ლარი)

19 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან	512,162,289	283,745,884
შემოსავალი საწვავის ტრანსპორტირებიდან	739,977	97,209
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	512,902,266	283,843,093

20 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	11,841,110	6,964,526
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	4,830,892	2,607,885
საწვავის ხარჯი	1,316,980	1,259,632
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის ხარჯი	1,555,844	893,389
სამეურნეო ხარჯი	866,544	770,757
ტრანსპორტირების ხარჯი	752,467	720,442
საოპერაციო იჯარის ხარჯი	728,505	653,240
კომუნალური ხარჯები	720,837	466,940
ბანკის საკომისიო*	990,630	455,013
დაზღვევის ხარჯი	238,894	-
პროფესიული მომსახურება	153,376	63,461
საოფისე ხარჯი	181,611	51,688
სხვა ხარჯები	167,921	338,797
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24,345,611	15,245,770

* ბანკის საკომისიო ხარჯი ძირითადად შედგება ბანკის ტერმინალის მომსახურების საკომისიოსგან.

21 ფინანსური შემოსავალი & ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საკურსო სხვაობით მიღებული (ზარალი)/მოგება, წმინდა	(272,860)	332,642
საპროცენტო ხარჯი	(3,799,241)	(1,560,213)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(3,153,535)	(1,791,211)
საპროცენტო შემოსავალი	43,247	7,716
სულ ფინანსური შემოსავალი & ფინანსური ხარჯი	(7,182,389)	(3,011,066)

22 მოგების გადასახადი

ჯგუფის მოგების გადასახადმა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 0 ლარი (2023: 0 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

23 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	7,000,000	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,056,568	12,731,738
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	16,883,717	6,830,205
სულ ფინანსური აქტივები	40,940,285	19,561,943
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	47,073,829	23,134,930
საიჯარო ვალდებულება	23,502,775	17,887,790
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,914,095	354,260
სულ ფინანსური ვალდებულებები	73,490,699	41,376,980

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების მერყეობის გამო. ჯგუფისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება ჯგუფის საოპერაციო საქმიანობას (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ მის ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფის ოპერაციების ძირითადი ნაწილი არის გამოხატული ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისად, ჯგუფის მგრძნობელობის მაჩვენებელი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით უმნიშვნელოა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. ჯგუფის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

23 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წელზე ზევით
გაცემული სესხები	7,000,000	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,056,568	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	16,883,717	-
სულ ფინანსური აქტივები	40,940,285	-
მიღებული სესხები	33,355,086	13,718,743
საიჯარო ვალდებულება	4,512,791	18,989,984
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,914,095	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	40,781,972	32,708,727
ლიკვიდურობის პოზიცია	158,313	(32,708,727)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წელზე ზევით
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,731,738	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6,830,205	-
სულ ფინანსური აქტივები	19,561,943	-
მიღებული სესხები	18,358,808	4,776,122
საიჯარო ვალდებულება	3,135,715	14,752,075
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	354,260	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	21,848,783	19,528,197
ლიკვიდურობის პოზიცია	(2,286,840)	(19,528,197)

23 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს უარყოფითი და მასთან მიახლოებული ლიკვიდურობის პოზიცია, რაც ძირითადად გამოწვეულია საიჯარო ვალდებულებებით. მენეჯმენტის განმარტებით, ლიკვიდურობის პოზიცია არის თანხვედრაში ინდუსტრიის ანალოგიურ მაჩვენებელთან, შესაბამისად, ეს არ იქონიებს გავლენას ჯგუფის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ ჯგუფის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

24 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადი ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასებაში გამოყენებული მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასება ემყარება ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკის და ვადის მქონე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადებით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს.

შპს „რეკსოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

25 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

	2024	2023
მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	770,299	478,741

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია 2024 და 2023 წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	2024	2023
შემოსავალი საწვავის გაყიდვიდან	106,786,539	26,918,749
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	543,984	-
შემოსავალი იჯარიდან	347,830	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	16,516	-
საწვავის შეძენა	29,547,177	4,707,947
სულ	137,242,046	31,626,696

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,025,841	1,017,305
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	134,884	6,721
სულ	7,160,725	1,024,026

26 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 1 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

შპს „რეჰსოლი“
ინდივიდუალური და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2024 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

მთავარი	3
პროდუქტი	3
პარტნიორები	3
კომპანიის მიღწევები.....	4
საოპერაციო საქმიანობა	4
ხანძარსაწინააღდეგო ღონისძიებები	5
საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და საოპერაციო რისკების მიმოხილვა	6
საკრედიტო რისკი	6
საბაზრო რისკი.....	6
ლიკვიდობის რისკი.....	6
საოპერაციო რისკი.....	6
განვითარების გეგმები	7
მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება.....	7

მთავარი

კომპანია „რეპსოლი“, რომელიც ბაზარზე პოზიციონირებს ბრენდი “Connect“-ის მეშვეობით, დაფუძნდა 2014 წელს და განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს საბითუმო და საცალო ნავთობპროდუქტების ბაზარზე წარმატებით დაიმკვიდრა ხარისხიანი საწვავის მომწოდებლისა და საიმედო პარტნიორის სახელი. ვაცნობიერებთ რა ჩვენი წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე, ასევე ერთგულებას მაღალი კორპორატიული სტანდარტების მიმართ, ჩვენი მისიაა მომხმარებელს საქართველოს ბაზარზე შევთავაზოთ ხარისხიანი პროდუქტი და მომსახურება.

კომპანია არსებობის მანძილზე ემსახურება საქართველოში ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს საწვავის საბითუმო მიწოდების კუთხით და ამ ეკონომიკური აგენტების რიცხვი მზარდია. ამავდროულად კომპანიაში საცალო რეალიზაციის მიმართულებაში ჩადებული ინვესტიციით მოხდა შეძენილი და იჯარით აღებული ბენზინგასამართი სადგურების მეშვეობით ბენზინგასამართი სადგურების ქსელის შექმნა ქვეყნის მასშტაბით, რამაც საშუალება მოგვცა საცალო მომხმარებლისთვის მიგვეწოდებინა ხარისხიანი პროდუქტი და მომსახურება.

კომპანიის ბენზინგასამართი სადგურები განთავსებულია: კახეთში, თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში და აჭარაში.

2024 წელს კომპანიაში დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 754 თანამშრომელს.

2024 წლის ბოლოსთვის კომპანია ოპერირებას უწევდა 100 მეტ ერთეულ ბენზინგასამართ სადგურს (კუთვნილს და იჯარით აღებულს ერთად).

პროდუქტი

კომპანია „რეპსოლი“ ახორციელებს იმპორტირებული საწვავის შეძენას და მის ადგილობრივ ბაზარზე, როგორც საბითუმო ისე საცალო ქსელის მეშვეობით რეალიზაციას. კომპანია მაქსიმალურად ახორციელებს ხარისხიანი პროდუქციის შეძენას, რათა შეძლოს მომხმარებლების საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილება და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისა თუ ნორმატივების შესრულება.

კომპანიის პროდუქტებია - რეგულარი, პრემიუმი, დიზელი და ევროდიზელი.

პარტნიორები

კომპანიის ძირითად პარტნიორებს წარმოადგენენ კერძო ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ოპერირებენ კერძო ბენზინგასამართი სადგურების, გადაზიდვის, მშენებლობის, სერვისის, ვაჭრობის და ა.შ სფეროებში.

კომპანიის მიღწევები

2024 წლის მანძილზე კომპანიის ძირითადი ფოკუსირება მოხდა ბენზინგასამართი ქსელის სწრაფ გაფართოებაზე, რამაც საშუალება მისცა კომპანიას წლის ბოლოს საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი ყოფილიყო 100-ზე მეტი ბენზინგასამართი სადგურით “Connect“-ის ბრენდის ქვეშ. აღნიშნული რიცხვი მზარდია გამომდინარე კომპანიის სტრატეგიიდან.

საოპერაციო საქმიანობა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის საქმიანობა არ რეგულირდება რაიმე სპეციფიკური კანონმდებლობით. არსებობს მხოლოდ სამთავრობო დადგენილებები და ზოგადი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და სახანძრო წესების დაცვას.

კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება ხარისხიანი პროდუქტის მომხმარებლებზე მიწოდების გზით.

2024 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 513 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 4.8 მილიონ ლარს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს - 109 მილიონ ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი - 34 მილიონი ლარია.

საოპერაციო საქმიანობა მკაცრ სააღრიცხვო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. კომპანიის ავტოგასამართი სადგურის მენეჯერები ყოველდღიურად ადგენენ ანგარიშს და ეს ანგარიში წარედგინება სათაო ოფისს. ანგარიშის უტყუარობასა და შეცდომების გამორიცხვას სათაო ოფისი აკონტროლებს საწვავის გამშვებ სვეტებზე ჩაშენებული მრიცხველების მიხედვით, ბანკის ამონაწერის, ტერმინალის ანგარიშის და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. მრიცხველები დალუქულია საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ლუქებით. დალუქვა ხორციელდება შესაბამისი წესის მიხედვით. დალუქვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ასახულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აგს-ს ეკრანზეა ოპერირება.

კომპანიაში დანერგილია სამეთვალყურეო სისტემა - შსს ტექნიკური დავალების საფუძველზე აგს-ებზე განთავსებულია მაღალი გარჩევადობისა და ასევე ღამის რეჟიმში მომუშავე ვიდეო-კამერები, რომლებისც აკონტროლებენ აგს-ების მთელ პერიმეტრსა და მასთან მიმავალ გზებს. აღნიშნულ სამეთვალყურეო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს მონიტორინგის სამსახური.

ტექნიკური სამსახური, უზრუნველყოფს აგს-ების გამართულ ტექნიკურ მუშაობას, რაც გამოიხატება გამშვები სვეტების, საწვავის მილსადენების, ელექტრო-მოწყობილობებისა და სხვა მანქანა-დანადგარების გამართულ ფუნქციონირებაში.

ლოჯისტიკის სამსახური უზრუნველყოფს საბითუმო საწვავის სხვადასხვა მომწოდებლებთან შეძენილი საწვავით აგს-ების უწყვეტი და დროული მომარაგება, ასევე საკუთარ და სხვადასხვა ბაზებში შესყიდული საქონლის ნაშთების კონტროლი.

საოპერაციო საქმიანობა (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია საქონლის შესყიდვის, რეალიზაციის და ხარჯების ოპერაციები. ისინი წარმოიშევა კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობის შესაბამისად. ჩანაწერები ასახულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურების და ავტოგასამართ სადგურებზე არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის ჟურნალებში ელექტრონული ჩანაწერების სახით. სხვა განსაკუთრებული გარემოებები არ არსებობს, რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მონაცემები გენერირდება კომპანიის მიერ შემუშავებული ანგარიშგების ფორმებში ავტოგასამართი სადგურების მენეჯერების მიერ. ასევე ელექტრონული სახით მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან შემოსავლების სამსახურის საიტზე. შემდეგ ეს მონაცემები მუშავდება საბუღალტრო პროგრამაში. რეალიზაციიდან შემოსული თანხები ინკასირდება მომსახურე ბანკში. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით ნაღდი ფულის მოძრაობა აკრძალულია კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე.

მომზადებული ინფორმაციის დამუშავება ხდება ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად და გამოიყენება მენეჯმენტის მიერ შიდა გადაწყვეტილებების მიღების და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ინფორმაციის წარდგენისა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობის პროცესში.

კომპანია აწარმოებს ფასს-ის შესაბამის ანგარიშგების ფორმებს.

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან თითოეულ ობიექტზე დანიშნულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი.

ობიექტის თანამშრომლები სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების შემდეგ, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ობიექტებზე ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით, რომლის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და საოპერაციო რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე, რომლის მიღებასაც კომპანია ელოდება კლიენტებისგან დათქმულ ვადებში. აღნიშნული რისკის კონტროლის მიზნით, კომპანია ახორციელებს მსხვილი კლიენტების ფინანსური მონაცემების მონიტორინგს, რათა მაქსიმალურად შემცირებულ იქნას საკრედიტო რისკები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს იურიდიულად გამართული პროცედურების მეშვეობით თავი აარიდოს სასამართლო დავებს და ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა მაქსიმალურად ყველა პოტენციური დავის მორიგების გზით დარეგულირება. თუმცა იყო მინიმალური რაოდენობის ქეისები, რომელიც გადატანილ იქნა საქართველოს შესაბამის სასამართლო ინსტანციაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ გარდა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული გაუფასურების რეზერვისა, დამატებითი რეზერვის შექმნის აუცილებლობა არ არის.

საბაზრო რისკი

კომპანიისთვის საბაზრო რისკი მომდინარეობს საქართველოში საწვავის კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან ბაზარზე მოქმედი როგორც ე.წ ბრენდული, ასევე არაბრენდული ბენზინგასამართი სადგურები. კომპანია კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას ცდილობს ქსელის გაფართოების, ცნობადობის ამაღლების, ხარისხიანი საწვავის და მომსახურების მიწოდების გზით. კომპანია ყოველდღიურად აკვირდება ბაზარზე საფასო პოლიტიკის ფორმირებას, აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა ლოკაციებზე სხვადასხვა კონკურენტების ქცევას, რათა დროულად მოახდინოს სათანადო რეაგირება.

ლიკვიდობის რისკი

კომპანიისთვის ლიკვიდობის რისკის კონტროლი ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რისთვისაც კომპანიამ განახორციელა რიგი ღონისძიებები, რის შედეგადაც შემცირდა დებიტორებისგან თანხის ამოღების დღეების რაოდენობა და ბუფერული მარაგის დონე, რამაც კომპანიას მისცა საშუალება განეხორციელებინა შესაბამისი ინვესტიციები, რის შედეგადაც განხორციელდა ქსელის გაფართოება ახალი ბენზინგასამართი სადგურების მეშვეობით.

საოპერაციო რისკი

კომპანიისთვის საოპერაციო რისკების მონიტორინგისა და მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში ფუნქციონირებს მონიტორინგის სამსახური, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ბენზინგასამართ სადგურებში საწვავის, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

კომპანიაში მოქმედი მონიტორინგის სისტემის მეშვეობით კონტროლდება გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვის მიზნით.

განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმა ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას, საწვავის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციას და საბარათე-სატალონე ბარათების დანერგვას კომპანიაში.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობის ანგარიშგება დაამტკიცა, 2025 წლის 1 ოქტომბერს.

უჩა ლურსმანაშვილი _____

დირექტორი

კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვის მიზნით.


განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმა ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას, საწვავის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციას და საბარათე-სატალონე ბარათების დანერგვას კომპანიაში.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობის ანგარიშგება დაამტკიცა, 2025 წლის 1 ოქტომბერს.

ურა ლურსმანაშვილი



დირექტორი





Info@inox.ge



34 I.Abashidze str.